ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 04-3511
(კონსოლიდირებული ტენდერი **CON150000076**)

ქ. თბილისი, 11 აპრილი 2016 წ.

ერთის მხრივ, **საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო** (შემდგომში „შემსყიდველი"), წარმოდგენილი მინისტრის პირველი მოადგილის **ქეთევან ნატრიაშვილის** სახით და მეორეს მხრივ, **შპს „იუ–ჯი–თი"** (შემდგომში „მიმწოდებელი"), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის, **ერმილე სულაძის** სახით, სტანდარტული პერსონალური კომპიუტერების 2016 წლის კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციის, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 20[2] მუხლის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 15 დეკემბრის №12 ბრძანებით დამტკიცებული სტანდარტული პერსონალური და სტანდარტული პორტაბელური/სატარებელი კომპიუტერების კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:
1.1.1. "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ – "ხელშეკრულება") _ შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
1.1.2. "ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისათვის;
1.1.3. "შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ "შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
1.1.4. "მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელიც აწვდის საქონელს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;
1.1.5. "დღე", "კვირა", "თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.
1.1.6. სამუშაო დღე ნიშნავს კალენდარულ დღეს შაბათის, კვირისა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უქმე დღეების გარდა.
1.1.7. თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის უკანასკნელი დღე ემთხვევა უქმე ან დასვენების დღეს, ვადის დამთავრების დღედ ჩაითვლება მისი მომდევნო პირველი სამუშაო დღე.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს **51** ცალი სტანდარტული პერსონალური მაგიდის კომპიუტერი - დესკტოპი (კომპლექტი: სისტემური ბლოკი, მონიტორი, კლავიატურა, მაუსი) შემდგომში „საქონელი") სახელმწიფო შესყიდვა **(CPV30213000)**, რომლებიც აკმაყოფილებენ 2015 წელს გამოცხადებული კონსოლიდირებული ტენდერების სატენდერო დოკუმენტაციითა და მათი დანართებით განსაზღვრულ ტექნიკურ მაჩვენებლებს.
2.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის აღწერა, რაოდენობა და ფასები მოცემულია დანართ №1-ში, სტანდარტული პერსონალური მაგიდის კომპიუტერის ტექნიკური მახასათებლები მოცემულია დანართი №2-ში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. სახელშეკრულებო ღირებულება

ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 51,943.50 (ორმოცდათერთმეტი ათას ცხრაასორმოცდასამი ლარი და ორმოცდაათი თეთრი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1 ანგარიშსწორება მოხდება ფაქტიურად მიწოდებული საქონლის ღირებულების მიხედვით, მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი ფინანსური დოკუმენტაციის გაფორმების საფუძველზე. კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში სტანდარტული დესკტოპის მიწოდებისას ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ფორმით ეროვნულ ვალუტაში და მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია, მიმწოდებლის მიერ საგადასახადო ანგარიშ - ფაქტურის წარმოდგენიდან 5 სამუშაო დღის ვადაში დაადასტუროს ან უარი თქვას ანგარიშ- ფაქტურის დადასტურებაზე

შესაბამისი დასაბუთებით. ანგარიშსწორება ხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და ანგარიშ-ფაქტურის დადასტურებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.

4.2 წინასწარი ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

4.3 დაფინანსების წყარო: 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი („განათლებისა და მეცნიერების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება" (პროგრამული კოდი 320101).

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 საქონლის მიწოდებისას მხარეთა შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი. შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მხარეებს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5.2 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველია წინამდებარე ხელშეკრულების განსაზღვრული კონტროლის განმახორციელებელი პირის დასკვნა.

5.3 მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მხრიდან მოთხოვნილი რაოდენობის უნაკლო შესყიდვის ობიექტის მიწოდების დადასტურებისა და ანაზღაურების მიღების მიზნით შემსყიდველს წარუდგინოს შესაბამისი ფინანსური დოკუმენტაცია.

5.4 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენელი.

5.5 მიმწოდებლის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირია პროექტის მენეჯერი, გელა გაფრინდაშვილი.

6. საქონლის მიწოდების პირობები, ადგილი და ვადები

6.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადაა შემსყიდველის მიერ მისი მოთხოვნიდან არაუგვიანეს 45 (ორმოცდახუთი) სამუშაო დღე. შემსყიდველის მიერ საქონლის მოთხოვნა უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ ელ. ფოსტის მეშვეობით (შემსყიდველის ელ. ფოსტის მისამართი: ggurgenidze@mes.gov.ge; მიმწოდებლის ელ. ფოსტის მისამართი Gela.gaprindashvili@ugt.ge);

6.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №17ა;

6.3 მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს მიაწოდოს საქონელი ქარხნული წესით შეფუთულ მდგომარეობაში.

7 მხარეთა ვალდებულებები

7.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

7.1.1.უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

7.1.1 განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს პასუხი ყველა საკითხზე;

7.1.2 ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაციის მიწოდება აწარმოოს წერილობით ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით;

7.1.3 ხელი შეუწყოს შემსყიდველს ინსპექტირების განხორციელებისას;

7.1.4 განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:

7.2.1 აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ღირებულება ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.

7.2.2 მიმართოს სატენდერო კომისიას ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე საკითხის გადაწყვეტის მიზნით, მიმწოდებლის მიერ კანონმდებლობით და კონსოლიდირებული ტენდერის შედეგად ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში.

7.2.3 შეწყვიტოს ხელშეკრულება, სატენდერო კომისიის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მითითების გაცემის შემთხვევაში.

7.2.4 განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

8. გარანტია

8.1. შესყიდვის ობიექტზე ვრცელდება მწარმოებლის საერთაშორისო საგარანტიო პოლიტიკის შესაბამისი საგარანტიო მომსახურება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღიდან 3 (სამი) წლის განმავლობაში;

8.2. საგარანტიო ვადის განმავლობაში, ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში შემსყიდველის მიერ დგება შესაბამისი წერილობითი დოკუმენტი, სადაც აღიწერება არსებული ხარვეზი, რის საფუძველზეც ხარვეზის აღმოსაფრხველად შემსყიდველი მიმართავს მიმწოდებელს, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია აღმოფხვრას აღნიშნული ხარვეზი, შეაკეთოს ან შეცვალოს მოთხოვნიდან და საგარანტიო საქონლის მიმწოდებლის სერვის ცენტრში (თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №17ა) წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

8.3. საგარანტიო მომსახურება ასევე უნდა გავრცელდეს იმ სტანდარტულ დესკტოპებზეც, რომლებზეც შემსყიდველი ორგანიზაციის გადაწყვეტილებით დამონტაჟდება ოპტიკური დისკის წამკითხველი (DVD ROM).

9. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

9.1 შესყიდვის ობიექტი მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ შემდეგი პირობებით:

9.1.1 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის შემსყიდველისათვის მიწოდებისას კონტროლის განმახორციელებელი პირი ამოწმებს შესყიდვის ობიექტის რაოდენობას და დასახელებას (მოდელი), რასაც იმავე დღესვე ადასტურებს შესაბამისი დასკვნით, ხოლო ამის შემდეგ მიმწოდებელსა და შემსყიდველს შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.

9.2 ხელშეკრულების 9.1 პუნქტით გათვალისწინებულ კონტროლს განახორციელებს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი ლევან დვალი.

10. პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დაღვევისათვის

10.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში, დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე სახელშეკრულებო ღირებულების 0,01%-ის ოდენობით;

10.2 მიმწოდებლის მიერ კანონმდებლობით და კონსოლიდირებული ტენდერის შედეგად ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაცია მიმართავს სატენდერო კომისია ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე საკითხის გადაწყვეტის მიზნით. სატენდერო კომისიის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მითითების შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაცია წყვეტს ხელშეკრულებას, რის შედეგედაც მომწოდებლს დაეკისრება შემსყიდველი ორგანიზაციის სასარგებლოდ პირგასამტეხლო თანხის გადახდა, ხელშეკრულებით შესასყიდი (დარჩენილი) სტანდარტული დესკტოპის ხელშეკრულებით განსაზღვრული საორიენტაციო ღირებულების 5%-ის ოდენობით.

10.3 დაკისრებული პირგასამტეხლო გადახდილ უნდა იქნას მხარისათვის აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილების (წერილი პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე) გაცნობიდან არაუგვიანეს 1 თვის ვადისა.

10.4 ამ მუხლის არცერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებებისაგან.

11. ფორს-მაჟორი

11.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული შემსყიდველის და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით და სხვა.

11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ინტერესთა კონფლიქტი

"სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, წინამდებარე ხელშეკრულებაზე და მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერი და კონტროლის განმახორციელებელი პირები სრულად აკმაყოფილებენ კანონის ამ მოთხოვნას და არ იმყოფებიან ინტერესთა კონფლიქტში მიმწოდებელთან.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 15 აგვისტოს ჩათვლით, მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.

15. ზოგადი დებულებები

15.1 არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება, მეორე მხარისაგან წერილობითი თანხმობის გარეშე თავისი უფლებები ან ვალდებულებები გაასხვისოს ან გადასცეს მესამე პირებს.
15.2 მხარეები თანხმდებიან, რომ ის ურთიერთობანი, რომლებიც არ იქნა დარეგულირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
15.3 ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტაცია, რომლებიც გაიცვლება მხარეთა შორის ფორმდება ქართულ ენაზე.
15.4 ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ორი რჩება შემსყიდველს, ერთი – მიმწოდებელს.

16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	შპს „იუ-ჯი-თი“
ს/კ – 2020512 24	ს/კ – 204892964
მისამართი: ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. №52,	მისამართი: ქ. თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზ №17ა
ტელეფონი: 2 200 220,	ტელეფონი: 2 220505
საბანკო რეკვიზიტები:	საბანკო რეკვიზიტები:
ანგ. GE24NB0330100200165022,	ანგ.№ GE88BG0000000261644601,
სახელმწიფო ხაზინა, კოდი: TRESGE22,	სს „საქართველოს ბანკი", კოდი: BAGAGE22,
მინისტრის პირველი მოადგილე	გენერალური დირექტორი
ქეთევან ნატრიაშვილი	ერმილე სულაძე

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №

დანართი №1

ფასების ცხრილი

№	შესყიდვის ობიექტის დასახელება	რ-ბა	ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო ღირებულება (ლარი)
1.	სტანდარტული პერსონალური მაგიდის კომპიუტერი - დესკტოპი (კომპლექტი: სისტემური ბლოკი, მონიტორი, კლავიატურა, მაუსი)	51	1018.50	51943.50
			სულ დღგ-ს ჩათვლით:	51943.50

შემსყიდველი:
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
წარმოდგენილი მინისტრის პირველი მოადგილის

ქეთევან ნატრიაშვილის სახით

მიმწოდებელი:
შპს „იუ-ჯი-თი“

წარმოდგენილი გენერალური დირექტორის

ერმილე სულაძის სახით

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №

დანართი №2

სტანდარტული პერსონალური კომპიუტერის ტექნიკური მაჩვენებლები

#	სავალდებულო მოთხოვნები	მიმწოდებლის მიერ შემოთავაზებული ტექნიკური მახასიათებლები
1	**მონიტორი:**	**HP ProDisplay P222va Monitor**
2	მწარმოებელი ქვეყანა:	ჩინეთი
3	ტიპი	21,5" Widescreen უკანა LED განათებით
4	ფორმატი	16:9
5	რეაგირების დრო	8 მილი წამი
5	მატრიცის ტიპი	TN ან უკეთესი
6	გარჩევადობა	1920x1080
7	კონტრასტულობა	დინამიური 5 000 000:1
8	სიკაშკაშე	250 ცდ/მ2
9	უკანა განათების სამუშაო ციკლი	არანაკლებ 30 000 საათი
10	ხედვის კუთხე	178° ჰორიზონტალი 178° ვერტიკალი
12	დახრის კუთხე	არაუმეტეს –5, არანაკლებ +22 გრადუსი
13	ვიდეო პორტები	VGA, Display Port
14	მონიტორს უნდა მოყვებოდეს შესაბამისი კვების კაბელი და ვიდეო კაბელები	VGA კაბელი
15	**სისტემური ბლოკი:**	**HP 285 G2 Microtower Business PC**
16	მწარმოებელი ქვეყანა:	ჩინეთი
17	პროცესორი:	AMD Pro A8-7600B
18	გამოთვლითი ბირთვები	10 (4CPU+6GPU)
19	GPU ტაქტური სიხშირე	720MHz
20	ბირთვების რაოდენობა	4 (ოთხი)
21	L2 „ქეში"	4 მეგაბაიტი
22	ტაქტური სიხშირე	3.1 GHz (ხოლო Turbo რეჟიმში 3.8GHz)
23	უნდა გააჩნდეს ვირტუალიზაციის მხარდაჭერა	ვირტუალიზაციის მხარდაჭერა
24	დედაპლატა	
25	ჩაშენებული ვიდეო პლატა	DX10-ის ან DX11-ის მხარდაჭერით
26	მყარი დისკის კონტროლერი	SATA, 3 ინტერფეისი
27	ჩაშენებული ქსელის ადაპტერი	RJ-45 10/100/1000
28	გაფართოების სლოტები	DIMM სლოტი (Dual Channel-ის მხარდაჭერით) - 2 ცალი; PCI-E 16x - 1 ცალი
29	პორტები	USB 2.0 6-ცალი, აქედან 2 ცალი სისტემური ბლოკის წინა პანელზე 4 ცალი უკანა პანელზე
30	გრაფიკული ინტერფეისები	VGA, Display Port
31	ოპერატიული მეხსიერება	4GB ერთი მოდულით; ტიპი: DDR3 (1600MHz)
32	მყარი დისკი	500 გბ 7200 rpm 16Mb Cache SATA 6Gb/s
33	DVD/CD წამკითხველი (DVD/CD Rom)	DVD/CD წამკითხველი არაა. სისტემურ ბლოკს აქვს 1 DVD წამკითხველისთვის განკუთვნილი თავისუფალი ადგილი
34	კლავიატურა: (მწარმოებელი, მოდელი)	HP კლავიატურა USB, მინიმუმ 104 კლავიშიანი
35	მაუსი: (მწარმოებელი, მოდელი)	HP მაუსი USB (scroll-ის ფუნქციით)
36	ოპერაციული სისტემა	Preinstalled Windows 10, Professional 64 OEM

შემსყიდველი:
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
წარმოდგენილი მინისტრის პირველი მოადგილის ქეთევან ნატრიაშვილის სახით

მიმწოდებელი:
შპს „იუ-ჯი-თი"
წარმოდგენილი გენერალური დირექტორის ერმილე სულაძის სახით

11 აპრილი 2016წ.

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ

"სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და შპს ,,იუ–ჯი–თი"-ს შორის 51 ცალი სტანდარტული პერსონალური მაგიდის კომპიუტერი - დესკტოპის (კომპლექტი: სისტემური ბლოკი, მონიტორი, კლავიატურა, მაუსი) შესყიდვის მიზნით გასაფორმებელი ხელშეკრულების ფარგლებში მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერი და კონტროლის განმახორციელებელი პირები სრულად ვაკმაყოფილებთ კანონის ამ მოთხოვნას და არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში მიმწოდებელთან.

მიღება-ჩაბარებაზე ხელმომწერი პირი:

მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი

გიორგი გურგენიძე _____

კონტროლის განმახორციელებელი პირი:

მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი

ლევან დვალი _____